ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5375151

ნომერი: AR1819575

თარიღი : 20.04.2021

გაცემის თარიღი : 21.04.2021

გაცნობის თარიღი : 23.04.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მიხაი-ზიჩი , N 2 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა მიხაი-ზიჩი , N4;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ ცაავა პ/ნ 01024060610
- პეკინის ქუჩა 14ა ბინა 40

ნომენკლატურა :

- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი
- II კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს "ნნ ინვესტი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405190092
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: კახა ღიბრაძეზე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01002016416

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 478.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 400.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 1350.0

- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 900.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 450.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 10.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 7.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2021 წლის 20 აპრილის AR1819575 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ზიჩის ქ. N2; ზიჩის ქ. N4-ში არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ნებართვის გაცემის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის N3/181 ბრძანების თანახმად, ქ. თბილისში, ზიჩის ქ. N2 და N4-ში არსებულ შენობებს მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი. ამასვე ადასტურებს თქვენ მიერ AR1816899 განცხადებაზე თანდართული საქართველის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის 28 იანვრის N09/157 წერილი, რომლის მიხედვით, N01.15.05.043.014 საკადასტრო ერთეული ითვლება ძეგლის ტერიტორიად და მასზე ვრცელდება ძეგლის მიმართ დადგენილი სამართლებრივი რეჟიმი.

განგიმარტავთ, რომ რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 25–ე მუხლის შესაბამისად, ძეგლზე მისი კვლევის ან რეაბილიტაციის მიზნით შეიძლება ჩატარდეს შემდეგი სახის სამუშაოები: ა) დაზვერვა; ბ) გაწმენდა; გ) კონსერვაცია; დ) რესტავრაცია; ე) რეკონსტრუქცია; ვ) ადაპტაცია. ამასთანავე განგიმარტავთ, რომ რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 26–ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, "უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა დასაშვებია მხოლოდ ძეგლზე ამ კანონით დაშვებული სამუშაოების (რეკონსტრუქციის) ფარგლებში და ძეგლის აღდგენის პირობით, იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს ძეგლის ინტერესები ან თუ ძეგლის არსებული მდგომარეობა საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და არ არსებობს ამ საფრთხის თავიდან აცილების სხვა შესაძლებლობა". ამავე კანონის მე–3 მუხლის თანახმად: "ძეგლის რეკონსტრუქცია – დეტალურ სამეცნიერო კვლევებზე და ზუსტ ანაზომებზე დაყრდნობით, ახალი ან ძველი მასალით ან მათი კომბინაციის გამოყენებით, მთლიანად ან ნაწილობრივ დანგრეული ან დაშლილი ძეგლის ან მისი ფრაგმენტის პირვანდელი სახით ხელახლა აშენება".

ამასთანავე გაცნობებთ, რომ ამავდროულად სამსახურში განიხილება თქვენი 2021 წლის 11 აპრილის AR1816899 განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია ქ. თბილისში, ზიჩის ქ. N2; ზიჩის ქ. N4-ში სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების კორექტირებული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებარვის გაცემა. აღნიშნულ განცხადებაზე სამსახურის მიერ 2021 წლის 16 აპრილის № 5369940 გადაწყვეტილებით დადგენილი იქნა ხარვეზები. საჭიროა გაითვალისწინოთ დადგენილი ხარვეზები და განცხადება და საპრექტო დოკუმენტაცია ატვირთოთ AR1816899 განცხადებაზე.

ყოველივე ზემოაღწშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე ნომენკლატურით სამსახური მოკლებულია საკითხზე მსჯელობის შესაძლებლობას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.